

## განმარტებითი ბარათი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

**I.** წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის N604 განკარგულებით, და წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

**II.** იზრდება შემოსულობები 1 100 000 ლარით და ხდება 24 414 152 ლარი. მათ შორის:

1. იზრდება გრანტები 1 100 000 ლარით და ხდება 8 605 352 ლარი.

**III.** მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 679 253 ლარის ოდენობით.

**IV.** იზრდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 1 769 253 ლარით და ხდება 25 814 971 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 13 240 381 ლარით.

2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 1 524 500 ლარით.

3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 3 443 274 ლარით.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღვროს 2 009 101 ლარით.

5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 1 357 615 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

**V.** შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

**VI.** ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2022 წლის მაისის თვის პირველი დეკადა.

**VII.** ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი:

/გიორგი მანგოშვილი/

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1		ქ. ლაგოდეხში თავისუფლების ქ. N1-ში საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.	12 480		12 480
2		სოფ. კაბალში , სურაია მუსაევას საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.	9 149		9 149
3		სოფელ ვარდისუბანში, მე-2 ქუჩაზე, იური გრიგალაშვილის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები	265 700		265 700
4		სოფელ ცოდნისკარში პირველ ქუჩაზე (გზის პირი) სასმელი წყლის სათავისა და მაგისტრალის მოწყობა	135 754		135 754
5		სოფელ ვარდისუბანში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები	155 937		155 937
6		სოფელ მშვიდობიანში (გზის პირი) სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები	139 344		139 344
7		სოფელ ზემო და ქვემო ბოლქვში წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები	429 739		429 739
8		სოფელ თელაზე სასმელი წყლის მაგისტრალზე ლითონის მილის ამოცვლა პლასტმასის მილით	31 370		31 370
9		ქ. ლაგოდეხში 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია (ზედა ნაწილის)	350 000		350 000
10		სოფ. სვიდებაში სანიაღვრე არხის მოწყობა	50 000		50 000
11		სოფ. ჰერეთისკარში სანიაღვრე არხის მოწყობა	50 000		50 000
12		სოფ. ბაისუბანში ხელოვნურ საფარიანი მინი სტადიონის მოწყობა	180 000		180 000
13		სოფ. ლელიანში სპორტული მოედნის მოწყობა	50 000		50 000
14		სოფ. ბალთაში ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა	30 000		30 000
15		სოფ. არეშფერანში ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა	30 000		30 000
16		სოფ. ქვ.ნაშოვარში ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა	30 000		30 000
17		სოფ. ბაისუბანში ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა	30 000		30 000
18		18 წელზე უფროსი ასაკის შშმ პირთა დღის ცენტრის შენობის სარემონტო სამუშაოები	85 915		85 915
19	N277	სოფლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები	1 230 000	930 000	300 000
20	N604	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	170 000	170 000	